ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტი იონათანი გაათავისუფლეს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 22.06.2024. 2024 წლის 22 ივნისს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს შუამდგომლობით, მოლაპარაკებების შედეგად გათავისუფლებულია ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტი იონათანი.

2023 წლის 7 აგვისტოს ვინიცის საქალაქო სასამართლომ მიტროპოლიტ იონათანს „აბსურდული ბრალდებებით მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით. ბრალდებები მათ შორის შეიცავდა „ქმედებებს, რომლებიც დაკავშირებული იყო კონსტიტუციური წყობის ძალადობრივ შეცვლასთან ან დამხობასთან ანაც სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებასთან"; ასევე, „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასთან", როგორც ნათქვამია უწმინდესი პატრიარქის კირილეს იმავე დღეს გამოქვეყნებულ **განცხადებაში.**

მოსკოვის საპატრიარქოს წინამძღვარმა აღნიშნა, რომ „ამ უკანონო გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ეპისკოპოს იონათანზე ზეწოლის არაერთი მცდელობა, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, დარჩა თავისი ეკლესიისა და ქრისტეს მორწმუნე თანამოძმეთა ერთგული".

2023 წლის 9 აგვისტოს უწმინდესმა პატრიარქმა მიტროპოლიტ იონათანის გასამართლებასთან დაკავშირებით **მიმართვა** გაუგზავნა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს, რიგ რელიგიურ მოღვაწეს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

სანამ აპელაციის განხილვა მიმდინარეობდა, ეპისკოპოსი იონათანი შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. 2024 წლის 19 მარტს ცნობილი გახდა, რომ ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანს **ინსულტი დაემართა** და საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

2024 წლის 18 ივნისს ვინიცის სააპელაციო სასამართლომ **ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.**

მიტროპოლიტმა იონათანმა თავი დამნაშავედ არ სცნო მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაში. ადრე მიტროპოლიტს ასევე ჩამოერთვა უკრაინის მოქალაქეობა.

უახლოეს მომავალში იერარქი, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება მკურნალობა და სამედიცინო რეაბილიტაცია, მოსკოვში ჩავა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91905/